

ტერა-როსა, Terra-rossa

ტერა-როსა (კორდიან-კარბონატული წითელი ფერის ნიადაგები) ვითარდება მკვერივ კირქვებსა და მერგელებზე. ეს ნიადაგები ხასიათდება სხვადასხვა სიმძლავრით, კარბონატულობით ან გამოტუტვით (218,8 კგმ, 0,3%), სუსტად მჟავე, ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, ჰუმუსის მაღალი ან საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,12-1,29 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანთქმის საშუალო და მაღალი ტევადობით, ჩვეულებრივ მაძღრობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია (0-10) და საშუალოდ უზრუნველყოფილია (10-20) შთანთქმული ფოსფორით და საშუალოდ (0-10) უზრუნველყოფილია და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. მცენარეული საფარის დარღვევის შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება. ჩვეულებრივ გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Terra Rossa (rote kalkhaltige Rohhumusböden) entwickeln sich auf festem Kalkstein oder Mergel (218,8, 0,3%). Die Böden sind charakterisiert durch unterschiedliche Tiefen, karbonatisch oder ausgewaschen, durch eine schwach saure, neutrale oder schwach alkalische Reaktion, durch einen hohen oder durchschnittlichen Gehalt an Humus, einen hohen Gehalt an hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,12-1,29 g/cm, eine lehmige oder tonige Textur, eine mäßige oder hohe Absorptionskapazität, oft gesättigt. Die Böden sind mittel (0-10cm) bis mittel (10-20) versorgt mit hydrolisierbarem Stickstoff, sind reich (0-10cm) oder mittel (10-20cm) versorgt mit mobilem Phosphor und arm (10-20cm) an austauschbarem Kalium. Im Falle einer Schädigung der Vegetationsdecke kommt es zur Zunahme der Erosion. Die Böden sind oft mit radioaktiven Nukleiden verunreinigt.

